

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2022 წლის 1 დეკემბერი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N24 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, 30.12.2021 წელი, 010250050.35.121.016438) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

დანართი №1

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15774.3	8327.0	7447.3	16523.8	9050.8	7473.0	18184.6	9004.5	9180.1
გადასახადები	6033.4	0.0	6033.4	6974.5	0.0	6974.5	8275.0	0.0	8275.0
გრანტები	9327.0	8327.0	1000.0	9050.8	9050.8	0.0	9454.5	9004.5	450.0
სხვა შემოსავლები	413.9	0.0	413.9	498.5	0.0	498.5	455.1	0.0	455.1
ხარჯები	7066.6	340.7	6725.9	7563.0	424.1	7138.9	9801.9	648.8	9153.1
შრომის ანაზღაურება	1793.5	67.5	1726.0	1770.6	68.5	1702.1	2666.5	90.0	2576.5
საქონელი და მომსახურება	876.1	199.9	676.2	1270.2	291.1	979.1	1601.2	483.8	1117.4
პროცენტი	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.6	0.0	27.6
სუბსიდიები	3403.2	59.6	3343.6	3709.2	64.5	3644.7	4565.8	75.0	4490.8



გრანტები	11.7	0.0	11.7	7.3	0.0	7.3	11.3	0.0	11.3
სოციალური უზრუნველყოფა	801.2	0.0	801.2	639.8	0.0	639.8	802.2	0.0	802.2
სხვა ხარჯები	144.9	13.7	131.2	137.1	0.0	137.1	127.3	0.0	127.3
საოპერაციო საღდო	8707.7	7986.3	721.4	8960.8	8626.7	334.1	8382.7	8355.7	27.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8693.7	8211.4	482.3	7210.5	6716.4	494.1	11305.9	10854.6	451.3
ზრდა	8800.9	8211.4	589.5	7427.5	6716.4	711.1	11555.9	10854.6	701.3
კლება	107.2	0.0	107.2	217.0	0.0	217.0	250.0	0.0	250.0
მთლიანი საღდო	14.0	-225.1	239.1	1750.3	1910.3	-160.0	-2923.2	-2498.9	-424.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	-41.6	-225.1	183.5	1694.7	1910.3	-215.6	-2978.8	-2498.9	-479.9
ზრდა	183.5	0.0	183.5	1910.3	1910.3	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	225.1	225.1	0.0	215.6	0.0	215.6	2978.8	2498.9	479.9
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15881.5	8327.0	7554.5	16740.8	9050.8	7690.0	18434.6	9004.5	9430.1
შემოსავლები	15774.3	8327.0	7447.3	16523.8	9050.8	7473.0	18184.6	9004.5	9180.1
არაფინანსური აქტივების კლება	107.2	0.0	107.2	217.0	0.0	217.0	250.0	0.0	250.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	15923.1	8552.1	7371.0	15046.1	7140.5	7905.6	21413.4	11503.4	9910.0



ხარჯები	7066.6	340.7	6725.9	7563.0	424.1	7138.9	9801.9	648.8	9153.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	8800.9	8211.4	589.5	7427.5	6716.4	711.1	11555.9	10854.6	701.3
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
ნაშთის ცვლილება	-41.6	-225.1	183.5	1694.7	1910.3	-215.6	-2978.8	-2498.9	-479.9

მუხლი 3. ვანის ბიუჯეტის შემოსავლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 18184,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15774.3	8327.0	7447.3	16523.8	9050.8	7473.0	18184.6	9004.5	9180.1
გადასახადები	6033.4	0.0	6033.4	6974.5	0.0	6974.5	8275.0	0.0	8275.0
გრანტები	9327.0	8327.0	1000.0	9050.8	9050.8	0.0	9454.5	9004.5	450.0
სხვა შემოსავლები	413.9	0.0	413.9	498.5	0.0	498.5	455.1	0.0	455.1

მუხლი 4. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 8275,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	6033.4	0.0	6033.4	6974.5	0.0	6974.5	8275.0	0.0	8275.0
ქონების გადასახადი	330.3	0.0	330.3	336.0	0.0	336.0	350.0	0.0	350.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე	225.3	0.0	225.3	221.5	0.0	221.5	250.0	0.0	250.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე	0.0	0.0	0.0	5.9	0.0	5.9	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	73.0	0.0	73.0	82.1	0.0	82.1	75.0	0.0	75.0



არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	32.0	0.0	32.0	26.5	0.0	26.5	25.0	0.0	25.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	5703.1	0.0	5703.1	6638.5	0.0	6638.5	7925.0	0.0	7925.0

მუხლი 5. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 9454,5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	9327.0	8327.0	1000.0	9050.8	9050.8	0.0	9454.5	9004.5	450.0
მიზნობრივი ტრანსფერი	281.2	281.2	0.0	338.0	338.0	0.0	541.3	541.3	0.0
დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	145.0	145.0	0.0	145.0	145.0	0.0	165.0	165.0	0.0
საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	136.2	136.2	0.0	193.0	193.0	0.0	376.3	376.3	0.0
კაპიტალური ტრანსფერი	8045.8	8045.8	0.0	8381.6	8381.6	0.0	8463.2	8463.2	0.0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	6438.1	6438.1	0.0	5471.2	5471.2	0.0	5240.9	5240.9	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	570.0	570.0	0.0	570.0	570.0	0.0	580.0	580.0	0.0
საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	815.8	815.8	0.0	57.8	57.8	0.0	77.5	77.5	0.0
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	221.9	221.9	0.0	2282.6	2282.6	0.0	2564.8	2564.8	0.0
სპეციალური ტრანსფერი	1000.0	0.0	1000.0	331.2	331.2	0.0	450.0	0.0	450.0
სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამა	0.0	0.0	0.0	331.2	331.2	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა სპეციალური ტრანსფერი	1000.0	0.0	1000.0	0.0	0.0	0.0	450.0	0.0	450.0

მუხლი 6. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 455,1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:



დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	413.9	0.0	413.9	498.5	0.0	498.5	455.1	0.0	455.1
შემოსავლები საკუთრებიდან	244.9	0.0	244.9	281.3	0.0	281.3	245.1	0.0	245.1
პროცენტები	15.6	0.0	15.6	39.7	0.0	39.7	50.0	0.0	50.0
რენტა	229.3	0.0	229.3	241.6	0.0	241.6	195.1	0.0	195.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	46.6	0.0	46.6	42.0	0.0	42.0	50.0	0.0	50.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	23.2	0.0	23.2	24.8	0.0	24.8	30.0	0.0	30.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	23.4	0.0	23.4	17.2	0.0	17.2	20.0	0.0	20.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	13.8	0.0	13.8	41.6	0.0	41.6	50.0	0.0	50.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	108.6	0.0	108.6	133.6	0.0	133.6	110.0	0.0	110.0

მუხლი 7. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 9801,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7066.6	340.7	6725.9	7563.0	424.1	7138.9	9801.9	648.8	9153.1
შრომის ანაზღაურება	1793.5	67.5	1726.0	1770.6	68.5	1702.1	2666.5	90.0	2576.5
საქონელი და მომსახურება	876.1	199.9	676.2	1270.2	291.1	979.1	1601.2	483.8	1117.4
პროცენტი	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.6	0.0	27.6
სუბსიდიები	3403.2	59.6	3343.6	3709.2	64.5	3644.7	4565.8	75.0	4490.8
გრანტები	11.7	0.0	11.7	7.3	0.0	7.3	11.3	0.0	11.3



სოციალური უზრუნველყოფა	801.2	0.0	801.2	639.8	0.0	639.8	802.2	0.0	802.2
სხვა ხარჯები	144.9	13.7	131.2	137.1	0.0	137.1	127.3	0.0	127.3

მუხლი 8. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 11305,9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	8693.7	8211.4	482.3	7210.5	6716.4	494.1	11305.9	10854.6	451.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	8800.9	8211.4	589.5	7427.5	6716.4	711.1	11555.9	10854.6	701.3
არაფინანსური აქტივების კლება	107.2	0.0	107.2	217.0	0.0	217.0	250.0	0.0	250.0

მუხლი 9. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში განისაზღვროს თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
7.0	სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა	15923.1	8552.1	7371.0	15046.1	7140.5	7905.6	21413.4	11503.4	9910.0
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2570.5	0.0	2570.5	2583.6	0.0	2583.6	3568.7	0.0	3568.7
7.1.1	ადმასრულებელი და წარმომადგენლო-ბიოთი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2570.5	0.0	2570.5	2583.6	0.0	2583.6	3568.7	0.0	3568.7



7.2	თავდაცვა	93.4	75.2	18.2	97.4	80.0	17.4	137.6	90.0	47.6
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის სფეროში	93.4	75.2	18.2	97.4	80.0	17.4	137.6	90.0	47.6
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	6702.4	6290.1	412.3	7312.5	6635.2	677.3	8979.8	8309.1	670.7
7.4.5	ტრანსპორტი	6651.2	6290.1	361.1	7254.7	6635.2	619.5	8913.8	8309.1	604.7
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	51.2	0.0	51.2	57.8	0.0	57.8	66.0	0.0	66.0
7.5	გარემოს დაცვა	623.2	87.2	536.0	571.7	0.0	571.7	649.9	4.9	645.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	533.2	0.0	533.2	571.7	0.0	571.7	645.0	0.0	645.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	90.0	87.2	2.8	0.0	0.0	0.0	4.9	4.9	0.0
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	222.2	0.0	222.2	294.1	0.0	294.1	2522.1	2245.6	276.5
7.6.4	გარე განათება	125.4	0.0	125.4	221.1	0.0	221.1	210.0	0.0	210.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	96.8	0.0	96.8	73.0	0.0	73.0	2312.1	2245.6	66.5
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	92.6	76.5	16.1	94.8	64.5	30.3	110.0	75.0	35.0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	75.7	59.6	16.1	92.2	64.5	27.7	110.0	75.0	35.0
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	16.9	16.9	0.0	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2123.5	650.5	1473.0	1451.6	0.0	1451.6	1771.6	2.9	1768.7
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1264.5	650.5	614.0	568.7	0.0	568.7	696.9	2.9	694.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	764.0	0.0	764.0	782.9	0.0	782.9	974.7	0.0	974.7
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	95.0	0.0	95.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
7.9	განათლება	2796.2	1364.2	1432.0	1961.1	360.8	1600.3	2831.7	775.9	2055.8
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1572.0	145.5	1426.5	1674.7	78.4	1596.3	2364.2	308.4	2055.8
7.9.2	ზოგადი განათლება	1224.2	1218.7	5.5	286.4	282.4	4.0	467.5	467.5	0.0



7.1	სოციალური დაცვა	699.1	8.4	690.7	679.3	0.0	679.3	842.0	0.0	842.0
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	433.8	0.0	433.8	403.2	0.0	403.2	521.0	0.0	521.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	9.0	0.0	9.0	8.0	0.0	8.0	7.0	0.0	7.0
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	21.8	0.0	21.8	21.5	0.0	21.5	22.0	0.0	22.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	103.5	0.0	103.5	109.0	0.0	109.0	103.0	0.0	103.0
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	37.1	8.4	28.7	43.4	0.0	43.4	49.9	0.0	49.9
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	93.9	0.0	93.9	94.2	0.0	94.2	139.1	0.0	139.1

მუხლი 10. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 8382,7 ათასი ლარის, ხოლო მთლიანი სალდო -2923,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
საოპერაციო სალდო	8707.7	7986.3	721.4	8960.8	8626.7	334.1	8382.7	8355.7	27.0
მთლიანი სალდო	14.0	-225.1	239.1	1750.3	1910.3	-160.0	2923.2	-2498.9	-424.3

მუხლი 11. ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -2978,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები



ფინანსური აქტივების ცვლილება	-41.6	-225.1	183.5	1694.7	1910.3	-215.6	-	-2498.9	-479.9
ფინანსური აქტივების ზრდა	183.5	0.0	183.5	1910.3	1910.3	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	225.1	225.1	0.0	215.6	0.0	215.6	2978.8	2498.9	479.9

მუხლი 12. ვანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
 ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს -56,0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ვალდებულებების ცვლილება	-55.6	0.0	-55.6	-55.6	0.0	-55.6	-56.0	0.0	-56.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	56.0	0.0	56.0

მუხლი 13. ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები
 განისაზღვროს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსაზღვრული პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1) ინფრასტრუქტურის განვითარება (კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. ბოლო წლების განმავლობაშიც, სწორედ ამ სფეროს დაფინანსებაზე მოდის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილი. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საბიუჯეტო პროგრამები: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის კეთლმოწყობის ღონისძიებები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სამოქალაქო ბიუჯეტი.

1.1) საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 01)

აღწერა: საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და ექსპლოატაციის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების და საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი. ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები



უმეტესწილად ხმარდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების თანადაფინანსებას, მოვლა პატრონობას, გზების მიმდინარე შეკეთებას და პროექტის ზედამხედველობას. მიმდინარე წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასრულდება შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია ტობანიერის და სალომინაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში, ასევე აღნიშნული ფონდიდან მიმდინარე წელს განხორციელდება ქ.ვანის, ზეინდრის, ბზვანის, დიხაშხოს, ციხესულორის, შუამთის, ზედა ვანის, სალხინოს, გორას და მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დასრულდება ზედა ვანის, მუქედის, ძულუხის, სალხინოს, ფერეთას, ზეინდარის, შუამთის და ყუმურის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიზანი: მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, გადაადგილების დროის შემცირება, ტურიზმის ხელშეწყობა, მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

1.2) ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02)

აღწერა: პროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია, რის შედეგად უზვი ნალექების პირობებში მოსახლეობა დაცული იქნება დატბორვისგან. კომფორტული გახდება აღნიშნული გზით მოსარგებლე მოსახლეობის გადაადგილება და სხვადასხვა სერვისების ხელმისაწვდომობა. უზრუნველყოფილი იქნება სტიქიის პრევენცია. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

მიზანი: მოსახლეობის და ინფრასტრუქტურის შესაძლო წყალმოვარდნებისაგან დაცვა, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

1.3) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 03)

1.4) გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 04)

აღწერა: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ქსელის გამართულ ფუნქციონირებას. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში განათების სისტემის ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ვანში და 20 ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის ასიგნებები მოხმარდება ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

მიზანი: ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება.

1.5) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 05)

აღწერა: პროგრამით განხორციელდება ქალაქ ვანში გივი ყიფიანის სახელობის სკვერისა და ქალაქ ვანში ყოფილი სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე პარკისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის შენობის მშენებლობის სამუშაოები.

მიზანი: მოსახლეობისათვის სარეკრეაციო, დასასვენებელი და გასართობი სივრცეების შექმნა და გაუმჯობესება.

1.6) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (კოდი 02 06)

აღწერა: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, მოსახლეობის ინტერესებისა და გადაწყვეტილების შესაბამისად, განხორციელდება მოსახლეობის მიერ კრებებზე გამოთქმული სხვადასხვა სახის პროექტების და ღონისძიებები.



მიზანი: მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილება, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება.

1.7) სამოქალაქო ბიუჯეტი (კოდი 02 07)

2) დასუფთავება (კოდი 03 00)

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურებისა და დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება, ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან, ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა მდელების თავშესაფარში გადაყვანა.

2.1) მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურება (კოდი 03 01)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ვანის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და ნაგავსაყრელზე გატანას, რომელსაც ემსახურება სამი ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ვანის კომუნალური გაერთიანების ადმინისტრაციულ ხარჯებს და პერსონალის ხელფასებს.

მიზანი: ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა.

2.2) დასუფთავების მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (კოდი 03 02)

3) განათლება (კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

3.1) სკოლამდელი აღზრდა და განათლება (კოდი 04 01)

აღწერა: ვანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 26 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 700-ზე მეტი ბავშვი.

მიზანი: საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომელთათვის სამუშაო პირობების შექმნა.

3.1.2) სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 04 02)

აღწერა: დღეისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირების 26 ბაღი, საშუალოდ ერთ ბაღში სწავლობს



30 აღსაზრდელი (მ.შ. გოგო 15, ბიჭი 15) მუნიციპალიტეტში საშუალოდ წლიურად ბაღის ასაკის მოსახლეობის რიცხვი არის 700, (მ.შ. გოგო 350; ბიჭი 350) ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობისათვის, სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის და აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით უნდა მოხდეს ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარება, არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, მათ აღჭურვა სათანადო ინვენტარით. რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებული იქნება როგორც ქალთი და მამაკაცი პერსონალის, ასევე აღსაზრდელი გოგონების და ბიჭების საჭიროებების გათვალისწინება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მოქნე პირების. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დასრულდება დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ ისრითში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

მიზანი: ბაგა-ბაღების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა, საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

3.2.1) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (კოდი 04 03)

აღწერა: მუნიციპალიტეტის განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობის ღონისძიებები. კერძოდ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საჯარო სკოლა, მომსახურებით სარგებლობს 25 სკოლის 878 მოსწავლე, მ.შ. 441 გოგო 437 ბიჭი. მომსახურებით სარგებლობს 11 შშმ პირი, მ.შ. 4 გოგო 7 ბიჭი. მოსწავლეებს კერძო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ემსახურება მიკროავტობუსები 82 სხვადასხვა მარშრუტზე.

მიზანი: საჯარო სკოლის მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილება.

3.2.2) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია (კოდი 04 04)

აღწერა: მუნიციპალიტეტის მიერ განათლების სამინისტროსთან გაფორმებული დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება სსიპ მუქედის საჯარო სკოლის, სსიპ ზედა ვანის საჯარო სკოლის და სსიპ ფერეთას საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიზანი: კომფორტული და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა.

4) კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

4.1) სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01)

აღწერა: მოსახლეობაში და განსაკუთრებით მოზარდ თაობაში ფიზიკური აქტივობისა და განათლების ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დამკვიდრება, მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის პოპულარიზაცია.

მიზანი: ცნობიერების ამაღლება; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში; სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა.



4.1.1) სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია (კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, კერძოდ, ქვეპროგრამა ითვალისწინებს: სპორტულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოებას, წახალისებას ფულადი და ფასიანი საჩუქრებით, სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარებას; პროექტებს: სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ვანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები.

1. ფულადი ჯილდო გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე ვანის მუნიციპალიტეტის სახელით და საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს სახელით მოასპარეზე ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სპორტსმენებზე, რომლებიც სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე, ტურნირებზე, ჩემპიონატებზე და სხვა ასპარეზოებზე წარადგინა: ა) სპორტის ფედერაციამ; ბ) ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა სასპორტო დაწესებულებამ ან შესაბამისმა ორგანიზაციამ; გ) შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო პირადი ინიციატივით. 2. ფულადი ჯილდო გაიცემა აღნიშნული სპორტსმენების მწვრთნელებზე რომლებიც სასწავლო-საწვრთნელ საქმიანობას ახორციელებენ ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ სპორტულ დაწესებულებებში და რეგისტრირებული არიან ვანის მუნიციპალიტეტში. 3. ულადი ჯილდო გაიცემა გუნდურ და ეკიპაჟურ სახეობებში პირველი საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში, გამარჯვებული გუნდის წევრებზე და მათ მწვრთნელებზე. 4. წვრთნელი დაჯილდოვდება ერთჯერადად, საუკეთესო შედეგის მქონე ერთ სპორტსმენზე გასაცემი ჯილდოს ოდენობის არაუმეტეს 50%-ისა. 5. ფულადი ჯილდო არ გაიცემა კომერციულ ტურნირში მონაწილე სპორტსმენებზე და მათ მწვრთნელებზე 6. ერთი და იმავე სპორტსმენის მიერ სპორტის ერთ სახეობაში რამოდენიმე საპრიზო ადგილის დაკავების შემთხვევაში, სპორტსმენს მიეცემა ერთი ჯილდო საუკეთესო შედეგის ჩვენებისათვის 7. სპორტის სახეობაში, რომელშიც ჩემპიონატი ტარდება წელიწადში რამოდენიმეჯერ, სპორტსმენი მიიღებს წელიწადში ერთ ჯილდოს. თუ იმავე წელს გამართულ ჩემპიონატში, სპორტსმენი გააუმჯობესებს შედეგს ანუ დაიკავებს უფრო მაღალ საპრიზო ადგილს, მას გადაეცემა ჯილდოებს შორის სხვაობის ოდენობის თანხა. წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების ფულადი ჯილდოს ოდენობები განისაზღვრება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N 9 დადგენილების შესაბამისად.

მიზანი: სპორტის მხარდაჭერა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელი წახალისება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამტკიცება. მოზარდების, მ.შ. როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში.

4.1.2) სპორტული დაწესებულებების მხარდაჭრა (კოდი 05 01 02)

აღწერა: სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება აერთიანებს სხვადასხვა სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი, ქართული და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კალათბურთი, სამბო, ძიუდო, ველოსპორტი. აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

მიზანი: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში. მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

4.1.3) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01 03)

აღწერა: საფეხბურთო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი კლუბის აღსაზრდელების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე ცენტრალური სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

მიზანი: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.



4.1.4) რაგბის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01 04)

აღწერა: სარაგბო კლუბი პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სამი ასაკობრივი და პროფესიული კლუბის მორაგბეების ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე სარაგბო სტადიონის პერსონალისა და შენახვის ხარჯების დაფინანსებას.

მიზანი: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

4.1.5) სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 05 01 05)

4.2) კულტურის სფეროს განვითარება (კოდი 05 02)

აღწერა: კულტურის სფეროს განვითარების პროგრამა მოიცავს ქვეპროგრამებს: კულტურის ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 01); სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 05 02 02); კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 04); კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 05); დაფინანსებას.

4.2.1) კულტურის ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 01)

აღწერა: ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დაფინანსებას, რომლის მიზანია ითანამშრომლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, კულტურის სფეროს დაწესებულებებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან და ცალკეულ ხელოვანებთან. შეიმუშაოს კულტურული პროგრამები თავისი საქმიანობის სფეროში, უზრუნველყოს სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარება. ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და შენარჩუნების მიზნით დააფინანსოს ხალხური სიმღერის ანსამბლები. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამი კულტურის სახლი, კარლო საკანდელიძის სახელობის ვანის სახალხო თეატრი. კულტურის სახლებში გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული ანსამბლები, ბავშვთა საესტრადო წრეები.

მიზანი: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი ჩართულობის გაზრდა.

4.2.2) სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 05 02 02)

აღწერა: ქვეპროგრამა გულისხმობს ა(ა)იპ სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსებას. ორგანიზაცია აერთიანებს სამუსიკო სკოლას, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ბიბლიოთეკებს, კორნელი კეკელიძის, კალისტრატე ცინცაძის, გიორგი მიგვაშვილისა და სახვითი ხელოვნების მუზეუმებს, ვანის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრს.

მიზანი: მიეცეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს შესაბამისი საფეხურისა და სახელოვნებო პროფილის განათლება. ხელი შეუწყოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაერთიანებულ მოსწავლეებში პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, ხელოვნების საფუძვლების ზიარებას, ეროვნული მემკვიდრეობის შესწავლას. სამუზეუმო ფონდის შევსებისა და სრულყოფის მიზნით, შეიძინოს ან შემოწირულობა-საჩუქრის სახით, შეკრიბოს ნივთები, კულტურის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტალური, ეთნოგრაფიული მასალები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა. უზრუნველყოს ყველა ასაკის მკითხველი საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურებით. იზრუნოს საბიბლიოთეკო ფონდების დაკომპლექტებასა და ბიბლიოთეკებთან წიგნგაცვლითი ურთიერთობის დამყარებაზე.

4.2.3) კულტურის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (კოდი 05 02 03)

4.2.4) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (კოდი 05 02 04)



აღწერა: მუნიციპალიტეტი აგრძელებს ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსურ მხარდაჭერას.

მიზანი: ვანისა და ბაღდათის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა.

4.2.5) კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება (კოდი 05 02 05)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: შშმ პირთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება საქართველოში; დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; ახალგაზრდული პროექტები მომართვიანობის მიხედვით;

მიზანი: ვანის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.

5) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს უზრუნველყოფს დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

5.1 ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის:

მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

5.1.1) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 06 01 01)

აღწერა: მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; გ) საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ)



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

5.1.2) ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (კოდი 06 01 02)

5.2) სოციალური დაცვა (კოდი 06 02)

აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მიზანი: ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.1) ახალშობილთა ოჯახების დახმარება (კოდი 06 02 01)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა ახალშობილთა ოჯახებს: პირველი შვილის შეძენისას 300 ლარის, მეორე შვილის შეძენისას 350 ლარის, მესამე 400 ლარის, მეოთხე და ყოველი მომდევნო შვილის შეძენისას 500 ლარის, ტყუპების შემთხვევაში თითოეულ ბავშვზე 500 ლარის ოდენობით. 1-70000-მდე სარეიტინგო ქულაზე დახმარების ოდენობა გაიზრდება 20%-ით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.2) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (კოდი 06 02 02)

აღწერა: მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი, ყოველწლიურად თითოეულ ბავშვზე მიიღებენ 100 ლარს. ხოლო ის ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 000 მდე, მიიღებენ 20%-ით მეტს.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.3) მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება (კოდი 06 02 03)

აღწერა: ა) დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-150000-ის ჩათვლით. ბ) ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც დაფინანსების მოთხოვნის მომენტში რეგისტრირებულნი არ არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში ან მინიჭებული აქვთ 150000 - ზე მეტი სარეიტინგო ქულა, პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით ისარგებლებენ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელშიც აღწერილი იქნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დახმარების დასაბუთებული აუცილებლობა. დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის კატეგორიის მიხედვით. **პირველ კატეგორიაში** შედიან ონკოლოგიური (ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პირები; **მეორე კატეგორიაში** შედიან: ა) გულის დაავადებათა მქონე პაციენტები; ბ) C ქრონიკული ჰეპატიტით და ღვიძლის ციროზით დაავადებული პირები; გ) ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები. **მესამე კატეგორიაში** შედიან: ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 70000 - ის ჩათვლით; ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 120000-ის ჩათვლით; გ) 18 წლამდე ასაკის შშმ პირები; **მეოთხე კატეგორიაში** შედიან: ა) მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან



ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 70001-დან 150000 -ის ჩათვლით; ბ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები; გ) 70 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეები; დ) შშმ პირები. **მეხუთე კატეგორიაში** შედის დახმარების მიმღები ყველა სხვა მოქალაქე. **პირველ კატეგორიაში** შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 1200 (ათასორასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიის ბენეფიციარებს უფლება აქვთ ლიმიტით განსაზღვრული თანხა გამოიყენონ ძირითადი დაავადების სამკურნალო მედიკამენტების შესაძენად, ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტისა და ფარმაცევტული დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. თუ მოქალაქეს ჭირდება სამედიცინო დაწესებულების მომსახურება პირველ კატეგორიაში არ შემავალი დაავადებების სამკურნალოდ, შეუძლია დამატებით ისარგებლოს მისი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე მეორე, მესამე, მეოთხე ან მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ წლიური დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათასი) ლარს. **მეორე კატეგორიაში** შემავალ მოქალაქეებს, თუ ისინი გადიან მკურნალობის კურსს განსაზღვრული დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. თუ მოქალაქეს ჭირდება სამედიცინო დაწესებულების მომსახურება მეორე კატეგორიაში არ შემავალი დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის, მათ დამატებით შეუძლიათ ერთჯერადად ისარგებლონ დაფინანსებით, მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, მესამე, მეოთხე ან მეხუთე კატეგორიის მოქალაქეებისთვის დადგენილი წესით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქალაქის წლიური დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 800 (რვაასი) ლარს. **მესამე კატეგორიაში** შემავალ მოქალაქეებს აუნაზღაურდებათ სამედიცინო დაწესებულებაში მათ მიერ გადასახდელი თანხის 100%, არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა. მოქალაქეს შეუძლია ისარგებლოს წლის განმავლობაში არაერთჯერადად, ლიმიტით გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე. ამ კატეგორიაში შემავალ მოქალაქეებზე არ ვრცელდება მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა და მათთვის ორსულობის, საკეისრო კვეთის ან ფიზიოლოგიური მშობიარობის დროს დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 300 (სამასი) ლარით, თუ მათ გადასახდელ თანხაში არ შედის ექიმის ან სამშობიარო სახლის არჩევით გამოწვეული ხარჯები. **მეოთხე კატეგორიის** მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას. **მეხუთე კატეგორიის** მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. ამ კატეგორიის მოქალაქეები პროგრამით ისარგებლებენ წელიწადში ერთხელ და მათთვის პროგრამა არ ითვალისწინებს 200 (ორას) ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას. თუ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის მიერ ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 5000 ლარს, დახმარების ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარს დამატებული 5000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 10 % - ით, არაუმეტეს 2500 ლარისა.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.4) ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარება (კოდი 06 02 04)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ა) დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული ბენეფიციარების მგზავრობის ღირებულებისა და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად ყოველთვიური ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით. ბ) 18 წლამდე ასაკის არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიური დახმარების გაწევა 250 ლარის ოდენობით. გ) 18 წლამდე ასაკის აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიური დახმარების გაწევა 150 ლარის ოდენობით. დ) 18 წლამდე შაქრიანი დიაბეტის პირველი ტიპის მქონე ბავშვთა ოჯახებისათვის ყოველთვიური დახმარების გაწევა 150 ლარის ოდენობით ე) ცერემბრალური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.



მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.5) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (კოდი 06 02 05)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა 500 ლარის ოდენობით. ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარების გაწევა 200 ლარის ოდენობით. გ) მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარება 200 ლარის ოდენობით. დ) შშმ ბავშვთა დღის ცენტრის „ნათელი მომავალი“ - ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.6) მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 06)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების ყოველდღიური კვებით უზრუნველყოფას.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.7) სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (კოდი 06 02 07)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 ლარის, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარისა, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.8) დღეგრძელთა დახმარება (კოდი 06 02 08)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასი და მეტი წლის უზუცესთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, თითოეულ ბენეფიციარზე 1000 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.9) ვეტერანთა დახმარება (კოდი 06 02 09)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებსა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე, სოციალურად დაუცველ (100 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები) ვეტერანთათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა 300 (სამასი) ლარის ოდენობით. გ) 26 აპრილისთვის, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის 300 (სამასი) ლარის ოდენობით. დ) 1989 წლის 9 აპრილის დაზარალებულთათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და



5.2.10) მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება (კოდი 06 02 10)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა: ა) სოციალურად დაუცველ მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ამავე დროს რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 120 000-მდე სარეიტინგო ქულა, ერთ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით. ბ) მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 150 ლარის ოდენობით. გ) დედ-მამით ობლებს, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.11) სტუდენტთა დახმარება (კოდი 06 02 11)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტებს, რომელთა ოჯახები მიეკუთვნება სოციალურად დაუცველთა კატეგორიას და სარეიტინგო ქულა არის 1-დან -100000-ჩათვლით. დახმარების მოცულობა განისაზღვრება თითოეულ სტუდენტზე 500 ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.12) ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება (კოდი 06 02 12)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.13) უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (კოდი 06 02 13)

აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა) ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბ) ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირების და მათი შვილების გ) სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული, საცხოვრებელი ფართის არმქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფას. ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 120 (ასოცი) ლარი თვეში; ბ) შუამთის, ზეინდრის, დიხაშხოს, მთისძირის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, ზხვანის, ამაღლების, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში; გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში;

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.



5.2.14) სარიტუალო დახმარება (კოდი 06 02 14)

აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ა) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-120000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის ოჯახის დახმარება 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ბ) ჩერნობილის ავარიის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. გ) გარდაცვლილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახის დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. დ) გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის ოჯახის დახმარება 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით. ე) უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.15) მარტოხელა მშობელთა დახმარება (კოდი 06 02 15)

აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას. ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემა თითოეულ ბავშვზე, რომელთა მიმართაც პირს დაუდგინდა მარტოხელა მშობლის სტატუსი, 100 (ასი) ლარის ოდენობით, თუ ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 120 000-მდეა, დახმარების ოდენობა გაიზრდება 20 (ოცი) %-ით.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.16) ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა (კოდი 06 02 16)

აღწერა: ა) პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვიან ოჯახებზე გაიცემა ფულადი დახმარება: ერთ ბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, ორბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 900 (ცხრაასი) ლარით, სამბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 1200 (ათასორასი) ლარით, ოთხბავშვიან ოჯახზე არაუმეტეს 1400 (ათასოთხასი) ლარით, ხუთ და მეტბავშვიან ოჯახებზე არაუმეტეს 1500 (ათასხუთასი) ლარით. დახმარება შეიძლება გაიცეს როგორც ერთჯერადად, ასევე ნაწილ-ნაწილ.

ბ) პროგრამა ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების დასაქმების შემთხვევაში, შესრულებული საქმიანობა ანაზღაურდება ბენეფიციარის სახით ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით. დასაქმების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს ოთხი თვით. სამუშაო გრაფიკი ყოველ ბენეფიციარზე შემუშავდება ინდივიდუალურად.

მიზანი: ქვეპროგრამის ბენეფიციარებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა.

5.2.17) სხვა სოციალური ღონისძიებები (კოდი 06 02 17)

5.2.3) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (კოდი 06 03)

აღწერა: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგა პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სასიცოცხლოდ



მნიშვნელოვანია, გენდერული საჭიროებების შესწავლა და ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

მიზანი: გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

6) ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

აღწერა: ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის განსახორციელებელი პროექტები მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებას და პოპულარიზაციას, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ტურისტული ლოკაციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და პოპულარიზაციას.

მიზანი: მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრენინგების ჩატარება; ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზება/თანაორგანიზება.

6.1) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 01)

აღწერა: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ ვანის ტურიზმის ცენტრი. იგი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას ტურიზმის განვითარების საკითხებში.

მიზანი: მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი და შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ცნობადობის ამაღლება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრენინგების ჩატარება; ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების ორგანიზება/თანაორგანიზება.

მუხლი 14. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს 21413,4 ათასი ლარით, შემდეგი რედაქციით:

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
	ვანის მუნიციპალიტეტი	15923.1	8552.1	7371.0	15046.1	7140.5	7905.6	21413.4	11503.4	9910.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	164.0	7.0	157.0	165.0	7.0	158.0	165.0	7.0	158.0
	ხარჯები	7066.6	340.7	6725.9	7563.0	424.1	7138.9	9801.9	648.8	9153.1
	შრომის ანაზღაურება	1793.5	67.5	1726.0	1770.6	68.5	1702.1	2666.5	90.0	2576.5
	საქონელი და მომსახურება	876.1	199.9	676.2	1270.2	291.1	979.1	1601.2	483.8	1117.4
	პროცენტი	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.6	0.0	27.6
	სუბსიდიები	3403.2	59.6	3343.6	3709.2	64.5	3644.7	4565.8	75.0	4490.8



	გრანტები	11.7	0.0	11.7	7.3	0.0	7.3	11.3	0.0	11.3
	სოციალური უზრუნველყოფა	801.2	0.0	801.2	639.8	0.0	639.8	802.2	0.0	802.2
	სხვა ხარჯები	144.9	13.7	131.2	137.1	0.0	137.1	127.3	0.0	127.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8800.9	8211.4	589.5	7427.5	6716.4	711.1	11555.9	10854.6	701.3
	ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2663.9	75.2	2588.7	2681.0	80.0	2601.0	3706.3	90.0	3616.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	164.0	7.0	157.0	165.0	7.0	158.0	165.0	7.0	158.0
	ხარჯები	2601.6	75.2	2526.4	2619.0	80.0	2539.0	3633.1	90.0	3543.1
	შრომის ანაზღაურება	1793.5	67.5	1726.0	1770.6	68.5	1702.1	2666.5	90.0	2576.5
	საქონელი და მომსახურება	522.7	7.7	515.0	711.3	11.5	699.8	838.2	0.0	838.2
	პროცენტი	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.6	0.0	27.6
	გრანტები	11.7	0.0	11.7	7.3	0.0	7.3	11.3	0.0	11.3
	სოციალური უზრუნველყოფა	141.9	0.0	141.9	4.7	0.0	4.7	15.2	0.0	15.2
	სხვა ხარჯები	95.8	0.0	95.8	96.3	0.0	96.3	74.3	0.0	74.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.7	0.0	6.7	6.4	0.0	6.4	17.6	0.0	17.6
	ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	2433.1	75.2	2357.9	2446.6	80.0	2366.6	3473.1	90.0	3383.1
	მომუშავეთა რიცხოვნობა	164.0	7.0	157.0	165.0	7.0	158.0	165.0	7.0	158.0
	ხარჯები	2431.3	75.2	2356.1	2440.2	80.0	2360.2	3455.5	90.0	3365.5
	შრომის ანაზღაურება	1793.5	67.5	1726.0	1770.6	68.5	1702.1	2666.5	90.0	2576.5
	საქონელი და მომსახურება	515.7	7.7	508.0	561.3	11.5	549.8	688.2	0.0	688.2
	გრანტები	11.7	0.0	11.7	7.3	0.0	7.3	11.3	0.0	11.3



	სოციალური უზრუნველყოფა	20.9	0.0	20.9	4.7	0.0	4.7	15.2	0.0	15.2
	სხვა ხარჯები	89.5	0.0	89.5	96.3	0.0	96.3	74.3	0.0	74.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.8	0.0	1.8	6.4	0.0	6.4	17.6	0.0	17.6
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	712.4	0.0	712.4	695.7	0.0	695.7	920.2	0.0	920.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	33.0	0.0	33.0	33.0	0.0	33.0	33.0	0.0	33.0
	ხარჯები	712.3	0.0	712.3	695.7	0.0	695.7	915.6	0.0	915.6
	შრომის ანაზღაურება	508.9	0.0	508.9	475.5	0.0	475.5	687.0	0.0	687.0
	საქონელი და მომსახურება	116.1	0.0	116.1	120.1	0.0	120.1	154.3	0.0	154.3
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	3.8	0.0	3.8	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	87.3	0.0	87.3	96.3	0.0	96.3	74.3	0.0	74.3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	4.6	0.0	4.6
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1627.3	0.0	1627.3	1653.5	0.0	1653.5	2415.3	0.0	2415.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	124.0	0.0	124.0	125.0	0.0	125.0	125.0	0.0	125.0
	ხარჯები	1625.6	0.0	1625.6	1647.1	0.0	1647.1	2402.3	0.0	2402.3
	შრომის ანაზღაურება	1217.1	0.0	1217.1	1226.1	0.0	1226.1	1876.0	0.0	1876.0
	საქონელი და მომსახურება	373.7	0.0	373.7	412.8	0.0	412.8	499.8	0.0	499.8
	გრანტები	11.7	0.0	11.7	7.3	0.0	7.3	11.3	0.0	11.3
	სოციალური უზრუნველყოფა	20.9	0.0	20.9	0.9	0.0	0.9	15.2	0.0	15.2
	სხვა ხარჯები	2.2	0.0	2.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.7	0.0	1.7	6.4	0.0	6.4	13.0	0.0	13.0
01 01 03	მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახური	93.4	75.2	18.2	97.4	80.0	17.4	137.6	90.0	47.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0	7.0	7.0	0.0



	ხარჯები	93.4	75.2	18.2	97.4	80.0	17.4	137.6	90.0	47.6
	შრომის ანაზღაურება	67.5	67.5	0.0	69.0	68.5	0.5	103.5	90.0	13.5
	საქონელი და მომსახურება	25.9	7.7	18.2	28.4	11.5	16.9	34.1	0.0	34.1
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	230.8	0.0	230.8	234.4	0.0	234.4	233.2	0.0	233.2
	ხარჯები	170.3	0.0	170.3	178.8	0.0	178.8	177.6	0.0	177.6
	საქონელი და მომსახურება	7.0	0.0	7.0	150.0	0.0	150.0	150.0	0.0	150.0
	პროცენტი	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.6	0.0	27.6
	სოციალური უზრუნველყოფა	121.0	0.0	121.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	6.3	0.0	6.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.9	0.0	4.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
01 02 01	სარეზერვო ფონდი	139.2	0.0	139.2	150.0	0.0	150.0	150.0	0.0	150.0
	ხარჯები	134.3	0.0	134.3	150.0	0.0	150.0	150.0	0.0	150.0
	საქონელი და მომსახურება	7.0	0.0	7.0	150.0	0.0	150.0	150.0	0.0	150.0
	სოციალური უზრუნველყოფა	121.0	0.0	121.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	6.3	0.0	6.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.9	0.0	4.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02 03	ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	91.6	0.0	91.6	84.4	0.0	84.4	83.2	0.0	83.2
	ხარჯები	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.6	0.0	27.6
	პროცენტი	36.0	0.0	36.0	28.8	0.0	28.8	27.6	0.0	27.6
	ვალდებულებების კლება	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6	55.6	0.0	55.6
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6963.4	6377.3	586.1	7548.8	6635.2	913.6	11440.8	10559.6	881.2
	ხარჯები	199.8	55.5	144.3	287.9	63.6	224.3	336.0	107.5	228.5



	საქონელი და მომსახურება	187.4	50.2	137.2	287.9	63.6	224.3	336.0	107.5	228.5
	სხვა ხარჯები	12.4	5.3	7.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6763.6	6321.8	441.8	7260.9	6571.6	689.3	11104.8	10452.1	652.7
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6031.5	5727.6	303.9	6844.2	6224.9	619.3	8135.2	7542.5	592.7
	ხარჯები	15.9	0.0	15.9	3.8	0.2	3.6	18.5	0.0	18.5
	საქონელი და მომსახურება	15.9	0.0	15.9	3.8	0.2	3.6	18.5	0.0	18.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6015.6	5727.6	288.0	6840.4	6224.7	615.7	8116.7	7542.5	574.2
02 02	ნაპირსამაგრი სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	90.0	87.2	2.8	0.0	0.0	0.0	4.9	4.9	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	90.0	87.2	2.8	0.0	0.0	0.0	4.9	4.9	0.0
02 04	გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	125.4	0.0	125.4	221.1	0.0	221.1	210.0	0.0	210.0
	ხარჯები	115.6	0.0	115.6	218.4	0.0	218.4	209.0	0.0	209.0
	საქონელი და მომსახურება	115.6	0.0	115.6	218.4	0.0	218.4	209.0	0.0	209.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9.8	0.0	9.8	2.7	0.0	2.7	1.0	0.0	1.0
02 05	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	96.8	0.0	96.8	73.0	0.0	73.0	2312.1	2245.6	66.5
	ხარჯები	12.8	0.0	12.8	2.3	0.0	2.3	3.2	2.5	0.7
	საქონელი და მომსახურება	5.7	0.0	5.7	2.3	0.0	2.3	3.2	2.5	0.7
	სხვა ხარჯები	7.1	0.0	7.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	84.0	0.0	84.0	70.7	0.0	70.7	2308.9	2243.1	65.8
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	619.7	562.5	57.2	410.5	410.3	0.2	778.6	766.6	12.0
	ხარჯები	55.5	55.5	0.0	63.4	63.4	0.0	105.3	105.0	0.3
	საქონელი და მომსახურება	50.2	50.2	0.0	63.4	63.4	0.0	105.3	105.0	0.3



	სხვა ხარჯები	5.3	5.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	564.2	507.0	57.2	347.1	346.9	0.2	673.3	661.6	11.7
03 00	დასუფთავება	533.2	0.0	533.2	571.7	0.0	571.7	645.0	0.0	645.0
	ხარჯები	479.2	0.0	479.2	571.7	0.0	571.7	645.0	0.0	645.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	48.8	0.0	48.8	0.0	0.0	0.0
	სუბსიდიები	479.2	0.0	479.2	522.9	0.0	522.9	645.0	0.0	645.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	54.0	0.0	54.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 01	მუნიციპალიტეტის დასუფთავების მომსახურება	479.2	0.0	479.2	522.9	0.0	522.9	645.0	0.0	645.0
	ხარჯები	479.2	0.0	479.2	522.9	0.0	522.9	645.0	0.0	645.0
	სუბსიდიები	479.2	0.0	479.2	522.9	0.0	522.9	645.0	0.0	645.0
03 02	დასუფთავების მომსახურების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა	54.0	0.0	54.0	48.8	0.0	48.8	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	48.8	0.0	48.8	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	48.8	0.0	48.8	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	54.0	0.0	54.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
04 00	განათლება	2796.2	1364.2	1432.0	1961.1	360.8	1600.3	2831.7	775.9	2055.8
	ხარჯები	1561.8	142.0	1419.8	1812.0	216.0	1596.0	2408.3	376.3	2032.0
	საქონელი და მომსახურება	142.0	142.0	0.0	216.0	216.0	0.0	376.3	376.3	0.0
	სუბსიდიები	1419.8	0.0	1419.8	1596.0	0.0	1596.0	2032.0	0.0	2032.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1234.4	1222.2	12.2	149.1	144.8	4.3	423.4	399.6	23.8
04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	1426.5	0.0	1426.5	1594.7	0.0	1594.7	2050.0	0.0	2050.0
	ხარჯები	1419.8	0.0	1419.8	1592.0	0.0	1592.0	2032.0	0.0	2032.0
	სუბსიდიები	1419.8	0.0	1419.8	1592.0	0.0	1592.0	2032.0	0.0	2032.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.7	0.0	6.7	2.7	0.0	2.7	18.0	0.0	18.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია	145.5	145.5	0.0	80.0	78.4	1.6	314.2	308.4	5.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	145.5	145.5	0.0	80.0	78.4	1.6	314.2	308.4	5.8
04 03	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	142.0	142.0	0.0	216.0	216.0	0.0	376.3	376.3	0.0
	ხარჯები	142.0	142.0	0.0	216.0	216.0	0.0	376.3	376.3	0.0
	საქონელი და მომსახურება	142.0	142.0	0.0	216.0	216.0	0.0	376.3	376.3	0.0
04 04	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	1082.2	1076.7	5.5	70.4	66.4	4.0	91.2	91.2	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	4.0	0.0	4.0	0.0	0.0	0.0
	სუბსიდიები	0.0	0.0	0.0	4.0	0.0	4.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1082.2	1076.7	5.5	66.4	66.4	0.0	91.2	91.2	0.0
05 00	კულტურა, ახალგაზდრობა და სპორტი	2123.5	650.5	1473.0	1451.6	0.0	1451.6	1771.6	2.9	1768.7
	ხარჯები	1398.2	0.0	1398.2	1444.9	0.0	1444.9	1761.5	0.0	1761.5
	საქონელი და მომსახურება	24.0	0.0	24.0	6.2	0.0	6.2	45.7	0.0	45.7
	სუბსიდიები	1372.9	0.0	1372.9	1437.7	0.0	1437.7	1706.8	0.0	1706.8
	სხვა ხარჯები	1.3	0.0	1.3	1.0	0.0	1.0	9.0	0.0	9.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	725.3	650.5	74.8	6.7	0.0	6.7	10.1	2.9	7.2
05 01	სპორტის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	1264.5	650.5	614.0	568.7	0.0	568.7	696.9	2.9	694.0
	ხარჯები	542.0	0.0	542.0	562.9	0.0	562.9	690.9	0.0	690.9
	საქონელი და მომსახურება	2.9	0.0	2.9	1.0	0.0	1.0	3.0	0.0	3.0
	სუბსიდიები	537.8	0.0	537.8	560.9	0.0	560.9	678.9	0.0	678.9
	სხვა ხარჯები	1.3	0.0	1.3	1.0	0.0	1.0	9.0	0.0	9.0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	722.5	650.5	72.0	5.8	0.0	5.8	6.0	2.9	3.1
05 01 01	სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია	4.2	0.0	4.2	2.0	0.0	2.0	12.0	0.0	12.0
	ხარჯები	4.2	0.0	4.2	2.0	0.0	2.0	12.0	0.0	12.0
	საქონელი და მომსახურება	2.9	0.0	2.9	1.0	0.0	1.0	3.0	0.0	3.0
	სხვა ხარჯები	1.3	0.0	1.3	1.0	0.0	1.0	9.0	0.0	9.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების მხარდაჭერა	186.8	0.0	186.8	197.5	0.0	197.5	230.0	0.0	230.0
	ხარჯები	186.0	0.0	186.0	197.5	0.0	197.5	228.9	0.0	228.9
	სუბსიდიები	186.0	0.0	186.0	197.5	0.0	197.5	228.9	0.0	228.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.8	0.0	0.8	0.0	0.0	0.0	1.1	0.0	1.1
05 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	198.5	0.0	198.5	209.3	0.0	209.3	255.0	0.0	255.0
	ხარჯები	194.2	0.0	194.2	206.3	0.0	206.3	255.0	0.0	255.0
	სუბსიდიები	194.2	0.0	194.2	206.3	0.0	206.3	255.0	0.0	255.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.3	0.0	4.3	3.0	0.0	3.0	0.0	0.0	0.0
05 01 04	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	158.7	0.0	158.7	159.9	0.0	159.9	195.0	0.0	195.0
	ხარჯები	157.6	0.0	157.6	157.1	0.0	157.1	195.0	0.0	195.0
	სუბსიდიები	157.6	0.0	157.6	157.1	0.0	157.1	195.0	0.0	195.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	0.0	1.1	2.8	0.0	2.8	0.0	0.0	0.0
05 01 05	სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	716.3	650.5	65.8	0.0	0.0	0.0	4.9	2.9	2.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	716.3	650.5	65.8	0.0	0.0	0.0	4.9	2.9	2.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	836.2	0.0	836.2	877.7	0.0	877.7	1031.0	0.0	1031.0
	ხარჯები	835.1	0.0	835.1	876.8	0.0	876.8	1027.9	0.0	1027.9
	სუბსიდიები	835.1	0.0	835.1	876.8	0.0	876.8	1027.9	0.0	1027.9



	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	0.0	1.1	0.9	0.0	0.9	3.1	0.0	3.1
05 02 01	კულტურის ღონისძიებების ორგანიზება	403.3	0.0	403.3	429.8	0.0	429.8	520.0	0.0	520.0
	ხარჯები	403.3	0.0	403.3	429.8	0.0	429.8	518.9	0.0	518.9
	სუბსიდიები	403.3	0.0	403.3	429.8	0.0	429.8	518.9	0.0	518.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	1.1	0.0	1.1
05 02 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	337.9	0.0	337.9	347.9	0.0	347.9	411.0	0.0	411.0
	ხარჯები	336.8	0.0	336.8	347.0	0.0	347.0	409.0	0.0	409.0
	სუბსიდიები	336.8	0.0	336.8	347.0	0.0	347.0	409.0	0.0	409.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	0.0	1.1	0.9	0.0	0.9	2.0	0.0	2.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	95.0	0.0	95.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	95.0	0.0	95.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
	სუბსიდიები	95.0	0.0	95.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
05 03	კულტურისა და ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება	22.8	0.0	22.8	5.2	0.0	5.2	43.7	0.0	43.7
	ხარჯები	21.1	0.0	21.1	5.2	0.0	5.2	42.7	0.0	42.7
	საქონელი და მომსახურება	21.1	0.0	21.1	5.2	0.0	5.2	42.7	0.0	42.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.7	0.0	1.7	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	791.7	84.9	706.8	774.1	64.5	709.6	952.0	75.0	877.0
	ხარჯები	774.8	68.0	706.8	771.5	64.5	707.0	952.0	75.0	877.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
	სუბსიდიები	80.1	59.6	20.5	96.6	64.5	32.1	116.0	75.0	41.0
	სოციალური უზრუნველყოფა	659.3	0.0	659.3	635.1	0.0	635.1	787.0	0.0	787.0



	სხვა ხარჯები	35.4	8.4	27.0	39.8	0.0	39.8	44.0	0.0	44.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16.9	16.9	0.0	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	92.6	76.5	16.1	94.8	64.5	30.3	110.0	75.0	35.0
	ხარჯები	75.7	59.6	16.1	92.2	64.5	27.7	110.0	75.0	35.0
	სუბსიდიები	75.7	59.6	16.1	92.2	64.5	27.7	110.0	75.0	35.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16.9	16.9	0.0	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	75.7	59.6	16.1	92.2	64.5	27.7	110.0	75.0	35.0
	ხარჯები	75.7	59.6	16.1	92.2	64.5	27.7	110.0	75.0	35.0
	სუბსიდიები	75.7	59.6	16.1	92.2	64.5	27.7	110.0	75.0	35.0
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	16.9	16.9	0.0	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	16.9	16.9	0.0	2.6	0.0	2.6	0.0	0.0	0.0
06 02	სოციალური დაცვა	699.1	8.4	690.7	679.3	0.0	679.3	837.0	0.0	837.0
	ხარჯები	699.1	8.4	690.7	679.3	0.0	679.3	837.0	0.0	837.0
	სუბსიდიები	4.4	0.0	4.4	4.4	0.0	4.4	6.0	0.0	6.0
	სოციალური უზრუნველყოფა	659.3	0.0	659.3	635.1	0.0	635.1	787.0	0.0	787.0
	სხვა ხარჯები	35.4	8.4	27.0	39.8	0.0	39.8	44.0	0.0	44.0
06 02 01	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	78.3	0.0	78.3	80.1	0.0	80.1	72.5	0.0	72.5
	ხარჯები	78.3	0.0	78.3	80.1	0.0	80.1	72.5	0.0	72.5
	სოციალური უზრუნველყოფა	78.3	0.0	78.3	80.1	0.0	80.1	72.5	0.0	72.5
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	25.2	0.0	25.2	28.9	0.0	28.9	30.5	0.0	30.5
	ხარჯები	25.2	0.0	25.2	28.9	0.0	28.9	30.5	0.0	30.5
	სოციალური უზრუნველყოფა	25.2	0.0	25.2	28.9	0.0	28.9	30.5	0.0	30.5
06 02 03	სამედიცინო დახმარება	298.1	0.0	298.1	269.3	0.0	269.3	368.0	0.0	368.0
	ხარჯები	298.1	0.0	298.1	269.3	0.0	269.3	368.0	0.0	368.0



	სოციალური უზრუნველყოფა	298.1	0.0	298.1	269.3	0.0	269.3	368.0	0.0	368.0
06 02 04	ქრონიკული დაავადების მქონე პირთა დახმარება	54.6	0.0	54.6	55.6	0.0	55.6	84.0	0.0	84.0
	ხარჯები	54.6	0.0	54.6	55.6	0.0	55.6	84.0	0.0	84.0
	სოციალური უზრუნველყოფა	54.6	0.0	54.6	55.6	0.0	55.6	84.0	0.0	84.0
06 02 05	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	81.1	0.0	81.1	78.3	0.0	78.3	69.0	0.0	69.0
	ხარჯები	81.1	0.0	81.1	78.3	0.0	78.3	69.0	0.0	69.0
	სუბსიდიები	4.4	0.0	4.4	4.4	0.0	4.4	6.0	0.0	6.0
	სოციალური უზრუნველყოფა	76.7	0.0	76.7	73.9	0.0	73.9	63.0	0.0	63.0
06 02 06	მზრუნველობამოკლე- ბულთა კვებით უზრუნველყოფა	43.6	0.0	43.6	39.6	0.0	39.6	45.0	0.0	45.0
	ხარჯები	43.6	0.0	43.6	39.6	0.0	39.6	45.0	0.0	45.0
	სოციალური უზრუნველყოფა	43.6	0.0	43.6	39.6	0.0	39.6	45.0	0.0	45.0
06 02 07	სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	35.4	8.4	27.0	39.5	0.0	39.5	44.0	0.0	44.0
	ხარჯები	35.4	8.4	27.0	39.5	0.0	39.5	44.0	0.0	44.0
	სხვა ხარჯები	35.4	8.4	27.0	39.5	0.0	39.5	44.0	0.0	44.0
06 02 08	დღეგრძელთა დახმარება	9.0	0.0	9.0	8.0	0.0	8.0	7.0	0.0	7.0
	ხარჯები	9.0	0.0	9.0	8.0	0.0	8.0	7.0	0.0	7.0
	სოციალური უზრუნველყოფა	9.0	0.0	9.0	8.0	0.0	8.0	7.0	0.0	7.0
06 02 09	ვეტერანთა დახმარება	13.7	0.0	13.7	12.3	0.0	12.3	13.0	0.0	13.0
	ხარჯები	13.7	0.0	13.7	12.3	0.0	12.3	13.0	0.0	13.0
	სოციალური უზრუნველყოფა	13.7	0.0	13.7	12.3	0.0	12.3	13.0	0.0	13.0
06 02 10	მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება	21.8	0.0	21.8	21.5	0.0	21.5	22.0	0.0	22.0
	ხარჯები	21.8	0.0	21.8	21.5	0.0	21.5	22.0	0.0	22.0



	ხარჯები	21.8	0.0	21.8	21.5	0.0	21.5	22.0	0.0	22.0
	სოციალური უზრუნველყოფა	21.8	0.0	21.8	21.5	0.0	21.5	22.0	0.0	22.0
06 02 11	სტუდენტთა დახმარება	16.0	0.0	16.0	24.0	0.0	24.0	33.0	0.0	33.0
	ხარჯები	16.0	0.0	16.0	24.0	0.0	24.0	33.0	0.0	33.0
	სოციალური უზრუნველყოფა	16.0	0.0	16.0	24.0	0.0	24.0	33.0	0.0	33.0
06 02 12	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	0.0	0.0	0.0	0.4	0.0	0.4	2.3	0.0	2.3
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.4	0.0	0.4	2.3	0.0	2.3
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.4	0.0	0.4	2.3	0.0	2.3
06 02 13	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	1.7	0.0	1.7	3.9	0.0	3.9	5.9	0.0	5.9
	ხარჯები	1.7	0.0	1.7	3.9	0.0	3.9	5.9	0.0	5.9
	სოციალური უზრუნველყოფა	1.7	0.0	1.7	3.9	0.0	3.9	5.9	0.0	5.9
06 02 14	სარიტუალო დახმარება	12.9	0.0	12.9	17.9	0.0	17.9	13.7	0.0	13.7
	ხარჯები	12.9	0.0	12.9	17.9	0.0	17.9	13.7	0.0	13.7
	სოციალური უზრუნველყოფა	12.9	0.0	12.9	17.6	0.0	17.6	13.7	0.0	13.7
	სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.3	0.0	0.3	0.0	0.0	0.0
06 02 15	მარტოხელა მშობელთა დახმარება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.1	0.0	5.1
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.1	0.0	5.1
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.1	0.0	5.1
06 02 16	ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	22.0	0.0	22.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	22.0	0.0	22.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	22.0	0.0	22.0
06 02 17	სხვა სოციალური ღონისძიებები	7.7	0.0	7.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	7.7	0.0	7.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



	სოციალური უზრუნველყოფა	7.7	0.0	7.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	51.2	0.0	51.2	57.8	0.0	57.8	66.0	0.0	66.0
	ხარჯები	51.2	0.0	51.2	56.0	0.0	56.0	66.0	0.0	66.0
	სუბსიდიები	51.2	0.0	51.2	56.0	0.0	56.0	66.0	0.0	66.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1.8	0.0	1.8	0.0	0.0	0.0
07 01	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	51.2	0.0	51.2	57.8	0.0	57.8	66.0	0.0	66.0
	ხარჯები	51.2	0.0	51.2	56.0	0.0	56.0	66.0	0.0	66.0
	სუბსიდიები	51.2	0.0	51.2	56.0	0.0	56.0	66.0	0.0	66.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1.8	0.0	1.8	0.0	0.0	0.0

მუხლი 15. ასიგნებების დაფინანსება

ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 16. ასიგნებების გადანაწილება

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 17. კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება

2022 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 18. დავალიანებების ანაზღაურება



მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 02-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მოყვმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2022 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 19. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 165,0 ათასი ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 90,0 ათასი ლარი. ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 75,0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 20. სარეზერვო ფონდი

2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 150.0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

